ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 346

„1" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, მეტროს სადგური „ისნის" მიმდებარედ, 90 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.001.082) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიასთვის" (ს/კ: 406066769) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, მეტროს სადგური „ისნის" მიმდებარედ, 90 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.001.082) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიასთვის" (ს/კ: 406066769) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 14 სექტემბრის №36.13.785 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მეტროს სადგური „ისნის" მიმდებარედ, 90 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.12.001.082) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯორჯიასთვის" (ს/კ: 406066769)სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი